ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

MAYOR OF BATUMI MUNICIPALITY

N 6892-25
14/04/2015

შპს - "სარაგბო კლუბი ბათუმი"- ს
დირექტორს ბატონ რ. რუსიძეს

ბატონო რუსლან,

თქვენი 2015 წლის 06 აპრილის №დ05-02 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია თანახმაა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის, მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, 19,440.00 (ცხრამეტი ათას ოთხასორმოცი) ლარის ფარგლებში განახორციელოთ ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების შესყიდვა.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მომსახურების შესყიდვის მიზნით, ხელშეკრულების დადება უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ მიმწოდებელთან, რომელიც აკმაყოფილებს SPA150006929/SPA150009980 ტენდერით გათვალისწინებული სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

პატივისცემით,

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

6010. ლუკა ასათიანის ქ. №25. ტელ: 0 (422) 27 26 26. ფაქსი: 0 (422) 27 26 01
6010. №25, Luka Asatiani str., ph: + 995 (422) 27 26 26. fax: + 995 (422) 27 26 01. E-mail: info@batumi.ge